



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თავდგირიძე მაჰმუდ-ფაშა

თავდგირიძე მაჰმუდ-ფაშა [1864, ჩურუქსუ (ქობულეთი), – 31. VII. 1931], ოსმალეთის ჯარის სარდალი (გენერალ-ლეიტენანტი). დაამთავრა ქულელის სამხ. სასწავლებელი (სტამბოლი), მსახურობდა ოსმალეთის გენშტაბში. სარდლობდა დამასკოში (სირია) დისლოცირებულ მე-5 ქვეით ბრიგადას. 1894 მის სახლში მოაწყვეს ქართვე. ლტოლვილთა თავშესაფარი. 1897 მონაწილეობდა ბერძნებთან ომში, იტალია-ოსმალეთისა (1911-12) და ბალკანეთის (1912-13) ომებში, სადაც სარდლობდა მე-2 და მე-3 ქვეით ბრიგადებს.

თ-მ 1909 ა. წერეთლის იუბილეს მოსაწყობად და ქართ. ბიბლიოთეკის დასაარსებლად შეწირულობა გაიღო. 1920, სტამბოლის დაპყრობის შემდეგ, დააპატიმრეს და მალტაში გადაასახლეს. დაკრძალულია სტამბოლში კარაჯა-ახმადის სასაფლაოზე.

ლიტ.: კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., ქართველები თურქეთის ცის ქვეშ, თბ., 1991; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ქართველები თურქეთში, თბ., 1996; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე შ., სტამბოლის ქართული სავანე, თბ., 2012.

**რ. სურმანიძე**

---